



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 475
19/02/2020

ზუგდიდი

475-02-4-202002191428



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 აგვისტოს N3704 ბრძანებაში
ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 აგვისტოს N3704 ბრძანებას დაემატოს „დანართი N2“.
2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
3. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის საშუალებით ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
4. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge>) გამოქვეყნება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის
პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის
აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები**

მუხლი 1. ადმინისტრაციულ სამსახური

საქმისწარმოების განყოფილება

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის - ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - არქივზე პასუხისმგებელი პირი:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება არქივის, საქმისწარმოების ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.
- გ) საქართველოს კონსტიტუცია;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- ე) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ზ) საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“;
- თ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N246 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ი) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
- კ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილება;
- ლ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- მ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა.

შრომის უსაფრთხოების განყოფილება

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) უნარები და ტექნიკური ჩვევები, რომლებიც დასტურდება შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამის გავლის სერტიფიკატით;
- გ) მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება შრომის უსაფრთხოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან/და ზედამხედველობის სფეროში;
- დ) საქართველოს კონსტიტუცია;
- ე) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

- ვ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- ზ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- თ) საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“;
- ი) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილება;
- კ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- ლ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის - ადმინისტრაციული სამსახურის შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) უნარები და ტექნიკური ჩვევები, რომლებიც დასტურდება შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამის გავლის სერტიფიკატით;
- გ) მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება შრომის უსაფრთხოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან/და ზედამხედველობის სფეროში;
- დ) საქართველოს კონსტიტუცია;
- ე) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- ვ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- ზ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- თ) საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“;
- ი) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილება;
- კ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- ლ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა.